ფრე "ქაირათთან"

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 3 მაისი.

"ქაირათი" (ალმა-ათა) – "დინამო" (თბილისი) 1:1 (1:1).

"ქაირათი": ორდაბაევი, კრუგლიხინი, ტალგაევი, ბაიშაკოვი, კოსლიაკოვი, ხისამუტდინოვი, ბერდიევი, ლიხოშერსტნიხი (ჩებოტარიოვი), გურმანი, შევჩუკი, ევდოკიმოვი.

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, ქორიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გ. მაჩაიძე, ყიფიანი, ჩელებაძე.

დუბლიორები - 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს მუმლაძემ და წერეთელმა.

მიუხედავად საგრძნობი დანაკლისისა საბრძოლო შემადგენლობაში, დინამოელებმა თამაში სწრაფი იერიშით დაიწყეს და სულ 5 წუთი იყო გასული მსაჯის პირველი სასტვენიდან, როცა ჩელებაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

გავიდა რამდენიმე წუთი და ცენტრიდან თამაშის დაწყება მოუხდათ უკვე სტუმრებს: ლიხოშერსტნიხის მოულოდნელ, სწრაფ გარღვევას საპასუხო გოლი მოჰყვა - 1:1.

ყველაფერი ეს მოხდა მატჩის პირველ 12 წუთში. შემდგომში ბრძოლა მიმდინარეობდა საინტერესოდ, ორმხრივ იერიშებში, ორივე კართან რამდენიმეჯერ შეიქმნა საგოლე მომენტები. მასპინძლებიც, სტუმრებიც ბევრს ცდილობდნენ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა - 1:1.

როგორც ხედავთ, თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში "ქაირათის" წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ გუცაევი, შენგელია, დარასელია, რომლებიც ტრავმირებული არიან. ამ დღეებში დინამოელები საპასუხო ვიზიტით მიემგზავრებიან იუგოსლავიის მომმე ქალაქ ლიუბლიანაში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. გუნდის შემადგენლობაში არ იქნებიან სსრ კავშირის I ნაკრების წევრები ყიფიანი და ხინჩაგაშვილი. ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები დარასელია, შენგელია და მუჯირი, აგრეთვე, ტრავმირებული გუცაევი.

თბილისის "დინამოს" 8 მაისს ერევანში "სოვეტსკი სპორტის" პრიზის მატჩი აქვს იქაურ "არარატთან". თბილისელებმა უკვე გაინაღდეს I ადგილი თავიანთ ჯგუფში და, ამას გარდა, აკლიათ წამყვანი ფეხბურთელები. ამიტომ ერევანში ითამაშებს დინამოელთა ახალგაზრდული შემადგენლობა.

4 მაისი, 1977 წ.